საარჩევნო და პოლიტიკური სისტემების ურთიერთგავლენა საქართველოში - ოპტიმალური გამოსავალი 2024 წლისთვის

თამთა წვერაიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ვახტანგ მენაბდე, ასოცირებული პროფესორი
გვანცა ჯიქია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა წვერაიძე

16/06/2023

აბსტრაქტი

საქართველოს პოლიტიკური სისტემა მაჟორიტარიულია. არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკურ სუბიექტს, ანუ გამარჯვებულს, „მიაქვს ყველაფერი“. ქვეყანა უმრავლესობაზე დაფუძნებული პოლიტიკით იმართება. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, პოსტ-საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული პოლარიზაცია, რასაც პოლიტიკური ძალებისა და მოსახლეობის დღის წესრიგებს შორის აცდენა ემატება. ამ პირობებშიც კი, შესაძლებელი იქნებოდა დემოკრატიზაციის პროცესის გაძლიერება, რომ არა საარჩევნო სისტემა, რომელიც არასათანადოდ თარგმნის ამომრჩევლის მხარდაჭერას წარმომადგენლობითი ორგანოს მანდატებში. მაღალია იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა წარმომადგენელიც პარლამენტში საერთოდ ვერ ხვდება. ამიტომ, იწყება სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმაციის კრიზისი და მცირდება მათ მიმართ მოსახლეობის ნდობა. დღემდე, საქართველოში საარჩევნო სისტემა არაერთხელ შეიცვალა. ცვლილებები იწყებოდა პოლიტიკური კრიზისით, გადაიჭრებოდა დროებითი, კომპრომისული საარჩევნო სისტემით, სადაც მაჟორიტარული წესი და მაღალი საარჩევნო ბარიერი მაინც შენარჩუნებული იყო და ორპარტიულ სისტემას აძლიერებდა. დროებითი სისტემით დაკომპლექტებული პარლამენტი ვერ ასახავდა ამომრჩევლის ნებას, რადგან მასში მოსახლეობის განწყობა სრულად პროპორციულად არ იყო გამოხატული. კენჭისყრის დღეს შედეგების მიმართ უნდობლობა, არჩევნების შედეგების დელეგიტიმაცია და პროცესების ქუჩაში გადატანა წარმომადგენლობის გარეშე დარჩენილი მოქალაქეების ერთადერთი გამოსავალი იყო, რომ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა მიეღო. ისტორიული მიმოხილვის, დოქტრინალური და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, ნაშრომის მიზანია საქართველოს პოლიტიკური და საარჩევნო სისტემების ურთიერთგავლენის ანალიზზე დაფუძნებით, 2024 წელს ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ისეთი გამოსავლის მოძებნა, რომელიც დაუბრუნებს კონსტიტუციურ ორგანოს საზოგადოების ნდობას, მასში წარმომადგენლობითობისა და მრავალპარტიულობის წახალისების გზით.

საძიებო სიტყვები: პოლიტიკური სისტემა, საარჩევნო სისტემა, არჩევნები, მაჟორიტარიზმი

Abstract

The political system of Georgia is based on the majoritarian rule. The political party showing the best results in the elections, i.e., the winner, "takes all". The country is governed by majority-based politics. Such system is caused, on the one hand, by the polarization since the post-Soviet period, which is compounded by the misalignment between the agendas of the political forces and the population. Even under these conditions, it would be possible to strengthen the democratization process if it were not for an electoral system that improperly translates voter support into representative body mandates. There is a high number of citizens whose representatives are unable to receive the seats in the parliament at all. Therefore, such approach causes legitimacy of the state institutions and public trust towards such bodies decreases. From 1991 to present, the electoral system in Georgia has often been amended. As a cycle, the changes started with a political crisis and were resolved by a temporary, election system of a compromise, where the majoritarian rule and high electoral threshold were still maintained and strengthened the two-party system. The parliament, composed of a temporary electoral system, could not reflect the will of the voters, because the public attitude was not fully proportionally expressed in it. Consequently, distrust towards the electoral processes, delegitimization of the election results and shift of the processes from public institutions to the streets were the only solutions for the unrepresented citizens to participate in the political processes. Through historical review, doctrinal and quantitative research methods, the aim of the paper, based on the analysis of the mutual influence of the political and electoral systems of Georgia, is to find a solution for the parliamentary elections to be held in 2024, which will restore public confidence in the constitutional body, by encouraging representativeness and multipartyism.

Key words: political system, electoral system, elections, majoritarianism